




1972 წლის აგვისტოში პოლიტიკური სიტურისა და იუმორის უურ-
 ნალ „პროკოდის“ შეუსრულდა 50 წელი.

ყოჩაღ, კოლეგა! წლებთან ერთად ღონეც გემატება!

№ 15 (1385) აგვისტო 1972

• **სიანგუი** **ე**

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კპპ.



— მრავალჯამიერი!



— ალო, ალო!
— გისმენთ!
— თქვენთან ლექტორი მოდის!.. ალო, ალო!
— გისმენთ!
— ჰოდა, ჩაატარებს ლექციას თემაზე — „ალკოჰოლი და მასთან ბრძოლა“.
— კაი, ბატონო!
— აბა, თქვენ იცით, როგორ მოამზადებთ ხალხს!
— კარგით, კარგით! — აიმედებდა დირექტორი.
მერე კი უხმო აქტივს:
— თბილისიდან ლექტორი მოდის ალკოჰოლზე...
ნაბახუსევმა აქტივმა ირონია გამოხატა.
— შენ ბატკანზე წადი! — წამოიძახა დირექტორმა.
— კი!
— შენ გოჭზე!
— და, და!
— შენ მაგარი თელიანის ღვინო მოიტანე ორასი ლიტრა!
— კი, ბატონო!
— შენ ხიზილალა!

— მამ!
— იკრა, კაცო, იკრა! — „გადაუთარგმნა“ დირექტორმა.
— შენ კონიაკებზე!
— აუცილებლად!
— შენ ლიტრიან ყანწებს გავალებ!
— კი.
— შენ ორლიტრიან ჭინჭილას!
— შენ ის ბროლის ლარნაკი მოიტანე, შვილების! სადღეგრძელოს რომ ვსვამ ხოლმე!
— კი.
— ჰო, მართლა ლიტრანახევრიანი პატარა თიხის ჯამი სადაა?
— სეიფში გაქვთ, ბატონო, სეიფში! — წაგზმარნენ დირექტორს.
— შენ კიდევ ის ბულალტერი მომიძებნე, ომარ ხაიამის ლექსებით და რუსული რომანსებით რომ იცის თამაღობა!
— კი, კი!
— მამ, ხომ არაფერი გამოგვრჩა? — ხელებს იფშენებდა დირექტორი, — მე მგონი, შეიძლება ლექციის ჩატარება!

კეთანდილ კდვიშვილი

ვიდს არა სვამს...

ტშ-ფანდურა გაახურეს,
თოფი ზეცას ახალეს,
მომსვლელებმა კედელ-ყურეს
სიძის მოსვლა ახარეს...

მანაც თეფში, ერთი ღარტყმით,
დაფშენა ნამცეც-ნამცეცად,
მასპინძელმა მაყრიონი
სუფრაზე განამწესა.

აგუგუნდა საქორწილო,
ყანწი ყანწზე დასცალეს,
ტოლუმბაში, როგორც სპილო,
სვამს და ჩვენაც გვაძალებს.

ამოსუნთქვას აღარ გვატლის,
არც „პო“ ესმის, არც „არა“,
აფთარივით უბღვერს ყველას,
ვინც ყანწი არ დასცალა...

თან ღრიალებს: „რაა, ქორწილს
თავის წესით თუ არ სდევს?
ვინც არა სვამს, სჯობს, დაგვტოვოს,
აღვიღს უქმად ნუ აცდენს!“

„ქორწილია, ქორწილია!“ —
ვიღაც უშნოდ აყვირდა,
ლაპრო და პისტოლეტით
ჭერი ცხრაგან გახვრიტა.

მრავალს ფერი დაეკარგა
ამ სურათის ნახვითა,
ერთუროს ჩუმად გადახედეს,
ჭერს ახედეს ნაღვლითა.

უცებ ვიღაც ახროტინდა
და თავს ურტყამს მაგიდას,
აქეთ ვიღაც იქაჩება,
იქით ვიღაც გაგიჟდა.

მაინც როგორ მოერიათ
ღვინო, ეს დალოცვილი?
ღმერთო ჩემო, ვერ გაარჩევ,
ომია თუ ქორწილი!

ჰოდა, მართლაც გიჟი არის,
ქკუ ანაიარევი,
ლხინს და ქორწილს ვინც კი ზომავს
მხოლოდ ღვინის დაღვით!

გუგან სვანიძე

ჰამლეტი და ლტოლნი

ტრაგედია ერთ აქტად

მოქმედი პირები:

ჰამლეტი — რევიზორი

ოტელო — საწყობის გამგე

უმოქმედო პირები:

ოფელია — ჰამლეტის ცოლი

დეზდემონა — ოტელის ცოლი

სქენა წარმოადგენს ოტელის საწყობს. ჰამლეტი ადგენს აქტს. ოტელო ტირის, თვალებიდან უნვად გადმოსდის ცრემლი, როგორც ფისი სამკურნალო არაბეთის ხეთ და დეზდემონას ნაჩუქარი ცხვირსახოცით იწმენდს.

ჰამლეტი

(დაამთავრა აქტის შედგენა)

ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს. დანაკლისი გაქვს იმოდენა, ჩემო ძამია, რომ არც ერთ გამგეს სიმზარდაც არ მოეულანდება.

ციხე ნამდვილად არ აგცდება, ვერვინ გიშველის! აგერ, აქ, ხელი მომიწერე და გავათავოთ!

ოტელო

ჯერ, შეიცადეთ! მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა: ჩემთან მოსული ყველა მკაცრი

რევიზორისთვის გამიწევია სამსახური. თქვენც მიმსახურეთ, დახიეთ აქტი, ნუ დამლუბავთ! აიღეთ ფული! რამდენსაც მეტყვით, იმდენს მოგცემთ, არასა დავაკლებ და არავისთან, გეფიცებით, კრინტსაც არ დავძრავ!

ჰამლეტი

მერე მექრთამე რევიზორი უნდა მერქვას მე? ეს არ მოხდება. მოაწერე საჩქაროდ ხელი! თუმც კრინცი არ ვარ, კრინციპული მაინც ვიქნები!

ოტელო

(თავისთვის)

მშვიდობით, ძმანო, ფულოსანო! დიდნო თანხანო! დაემშვიდობე, დეზდემონა, მდიდრულ ცხოვრებას, ოტელის ჩარხი ბედ-უკუდმა გადატრიალდა! (მიუბრუნდება ჰამლეტს) ცოლ-შვილი ხომ გყავთ? დავიჯერო, ფულები გყოფნით?

ჰამლეტი

(თავისთვის)

მყოფნის? არ მყოფნის!... კმაყოფილი, აი, ეს არის (გულისხმობს ოტელის), ფულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის, რომ მოქრთამოს, მშვიდად გამიშვას აქედან და თვითონც დამშვიდდეს, ან მოაწეროს ხელი აქტზე, ამ ხელმოწერით ჩაიგდოს თავი განსაცდელში, გაუბედურდეს, დაჰკარგოს თბილი ადგილი და დაჯდეს ციხეში... ფულს გამოვართმევ, ოფელიას გულს გავუხარებ!

(მიმართავს ოტელს)

კარგი, ჯანდაბას შენი თავი! მომეცი ფული! ოლონდ, იცოდე, დანომრილი არ იყოს, თორემ!..

ოტელო

(აღტაცებული)

მაგას ვიკადრებ, ბრძენო ჰამლეტ? მაშინვე მოგკვდე!... კაცი ყოფილხარ, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა, ვერ გადავიხდი მე თქვენს ამავს ჩემს სიცოცხლეში!

ოტელეო აძლევს ფულს. ჰამლეტი ხეფს აქტს. ჰამლეტის ცოლი ოფელია სიხარულით გიჟდება. ოტელის ცოლი დეზდემონა ბოლბოთ იხრჩობა.

ტრაგედიას ფარდა არ ეხდება.

ბათუ მელია

ლილი ნუცუბიძე



— დედა, როდის გამოჩნდება ან დეზდემონა ხორცი?

წყაღვუბოვან ქუთაისში

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ტაქსით, თუკი იცი მგზავრობის და შენი თავის ფასი, მრიცხველს თვალი აარიდე, მძღოლს უყურე თვალში, თუ არ გინდა, გაგულისდეს მიგატოვოს გზაში! გაჩერდება და ათმაგი ჩაუჯიბე მხოლოდ, სანანებლად არ გაგიხდეს, არ გაგინოს ბოლოს... და თუ ხურდა მოგაწოდოს სირინოზის ხმაზე, უბასუხე, რომ კაცი ხარ, ქუდი გხურავს თავზე! გმირობა და ვაჟკაცობა სწორედ ასე უნდა! „მელოჩნიკი“ ხომ არა ხარ, გამოართვა ხურდა?!

ნ.ბ. გ. ფირცხალავაძე



ცოლის ტანსაცმლის მოღას გადაყოლილი ქმრისმოდური ტანსაცმელი.

მე ამოტა ვარ, ავლაბრელი ამოტ შაბაშოვი.

იცით, რა ავტორიტეტი მაქვს?! ყველას ვუყვარ-
ვარ, განსაკუთრებით კი მეზურნეებს. თანაც ისე
გავიყვებით, რომ ერთმანეთს ეცილებიან ჩემს თავს,
ხშირად ამ ნიადაგზე ლანძღვა-გინება და დაკა-და-
კაც მოსდით.

რატომ ვუყვარვარ? ვა, ესეც საკითხავია?! იმი-
ტომ, რომ ბევრი მათგანი მე გავრეე ბარაქაში, ფუ-
ლიანი კაცი გავხადე.

როგორ მოვახერხე? ვა, რა ყველაფერი გაინტე-
რესებთ! როგორ და, უბრალოდ: ჩემი გამჭირავნი
გონებით...

არ გჯერათ? რახან აღრე სამჯერ ვარ ნასამართ-
ლვეი თაღლითობისათვის, იმიტომ არ გჯერათ?! ამ-
ჯერად დამიჯერეთ, ძმებოჩან! ჩემი მეთოდები ისე
შანსიანად შევცვალე, მთელი დუნიის იურისტებმა
თავით კაკალი რომ ამტვრიონ, ვერავითარ მუხლს
ვერ წამომიყვანებენ.

რას ვაკეთებ? ჯანდაბას, ამასაც გაგიმხელთ: აი,
მაგალითად, სადმე ქორწილი, ნიშნობა ან რაიმე
საოჯახო ზეიშია. იქ ხომ მუსიკა არის საჭირო? ჰო-
და, სწორედ ამ მუსიკოს-მეზურნეებთან ერთად
მეც ვეახლები ბედნიერ ოჯახს. ძალიან იცინა, ვინა
ვარ. მთავარია, კობაშვილ ვარ გამოწყობილი, პალ-
სტუნიც მიკეთია.

მასპინძლები მოწიწებით მეპატიებებიან. მეც თა-
ვი ამაყად მიჭირავს. შესაფერის ადგილს ვარჩევ
მაგიდასთან.

იწყება სადღეგრძელოები. ერთი, მეორე, მესა-
მე... მეოთხე ტიქაზე, უკაცრავად, მაგრამ, თითქმის
ყველას გაფრენა უნდა. ამიტომაც ცეკვა-ბტუნაო-
ბის ჯერი დგება.

მეც და მეზურნეებსაც სწორედ ეგ გვინდა.

პირველად პატარძალი გამოჰყავთ საცეკვაოდ.
გაისმის ზურნის წრიპინი და დოლის ბათქაბუთქი.
„შალახო“... კარგი ცეკვაა. დიდხანს გრძელდება.
თანაც მოცეკვავე თუ გამხდარია, კარგია, გვიან ილ-
ლება.

მოდის შაბაში! ზოგი სამმანეთიანს უჩრის ხელში
პატარძალს, ზოგი ძუნწი და უნამუსო მანეთიანსაც
კადრულობს.

„არა, ძმაო, ასე რომ გაგრძელდეს, მეზურნეები
ვერაფერს ჩაიგდებენ ხელში. საჭიროა დაუყოფ-
ნებლივი მოქმედება.“ — ვფიქრობ ჩემთვის.

სწორედ ამ დროს ერთი ომანიანად წამოვიყვი-
რებ: „სალოლო!“... და, ხელგაშლილი, ოცდახუთ-
მანეთიანის ფრიალით, პატარძლისაკენ მივიწე-
ვ. მანამდე არ ვაჩეჩებ ხელში, სანამ ყველა არ დარწ-
მუნდება, რომ დიდი თანხა მიჭირავს. გაისმის ჩოჩ-
ქოლი: „ვინ არის, ტო, ეს კაცი?“

ზოგი სიძის ნათესავად მნათლავს, ზოგი — პა-
ტარძლის.

ის კი არ იცინა, მეზურნეების საგანგებო დესპა-
ნი რომ ვარ.

ჩემი „ხელგაშლილობით“ შეგულიანებული მე-
ქორწინებები ჯიბეებიდან მორიელებს იშორებენ და
მოცეკვავე ქალებს წითელ-მწყანე ასიგნაციებს ეს-
ვრიან. ისინიც მოგროვილ ფულს ქუთაისური
თვითმცლელივით ჰყრიან მეზურნეების მაგიდაზე.

როცა ფული გამომელევა, ერთ ღერ მწვანის
ვატრიალებ ხელში, — ეს ჩვენი პირობითი ნიშა-
ნია.

მადლობა ღმერთს, ჩვენში ცოტა გრძელი სადღე-
გრძელოები იცინა. სწორედ ამით ვსარგებლობთ
და როცა გარეთ გავდივარ, კუდში ერთი მეზურნე
გამომყვება ზოლზე. ხელმეორედ ჩემს ჩაბარებულ
ფულს უკანვე მიბრუნებს. ასე გრძელდება ცისკ-
რამდე.

დილით კი, რაწამს თავიდან მოვიშორებ ზოგი-
ერთ ჭირვეულ მოქმედებს, ცუნცულთ გავემართე-
ბით ერთ-ერთი მეზურნის „ვოლგისკენ“, ჩავიკე-
ტებით მანქანაში და ნერწყვის ყლაპვით უამრავ
თანხას ღირსებისამებრ ვინაწილებთ.

აბა, ახლა მითხარით, ხომ ვარ პატივისცემისა და
სიყვარულის ღირსი?!



— დედი, გაიხედე ერთი, გათენდა?

უცხოური იუმორი

გონანობა

— ნახე ის კაცი, დახრჩობას
რომ გადამარჩინა? — ჰკითხა
ცოლმა ქმარს.
— ჰო, ჩემთან იყო ბოდიშის მო-
სახდელად.

გარკვევა

— თქვენთან სერიოზული საქმე
მაქვს, ბატონო: მინდა, ქალიშვი-
ლის ხელი გთხოვოთ!
— სვამთ, ჭაბუკო?
— გმადლობთ, გეთაყვა, მაგრამ
ჯერ ეს საქმე მოვაგვაროთ!

მიზეზი

— საოცარია, ერთ დღეს ამდე-
ნი სისულელე როგორ ჩაიდინე?
— ძალიან ადრე ავდექი.

დილოგი

ბავშვობისდროინდელი მეგობ-
რები შეხვდნენ ერთმანეთს და
სკოლის ამბები გაიხსენეს:
— იცი? ლეო ლიტერატურის
კრიტიკოსი გამხდარა!
— სულაც არ მიკვირს, იმას
სკოლაშივე არ უყვარდა ლიტერა-
ტურა.

სწორი გადაწყვეტილება

ცოლი წვეულებიდან დაბრუნდა
და ქმარს უამბო:

— საღამომ ჩინებულად ჩაიარა.
ბერტმანებმა მოხოვეს, მემღერა.
მეც დავთანხმდი და რომანის ვიმ-
ღერე.

— კარგად მოქცეულხარ, — მო-
უწონა ქმარმა. — ვერ ვიტან მაგ
ბერტმანებს.

ნეიტრალიტეტი

— რას იზამთ, თქვენს ცოლს
რომ ვეფხვი შეებას?
— არ ჩავერევი: თვითონ დაეს-
ხა თავს და თავიც თვითონ დაიც-
ვას.

მძიმე შემთხვევა

— ხომ არ გქონიათ შემთხვევა,
რომ გესმით ხმა, მაგრამ არ იცით,
საიდან? — ჰკითხა ნევროპათო-
ლოგმა პაციენტს.
— ძალზე ხშირად, ექიმო.
— მძიმე შემთხვევაა! როდის გე-
მართებთ სოლმე?
— როცა ტელეფონით ვლაპარა-
კობ!

წიგნის მაღაზიაში

— გაქვთ, გეთაყვა, წიგნი „მა-
კაკი — ქალის მბრძანებელი“?
— უტოპიური ლიტერატურა
მეზობელ განყოფილებაშია! —
მიუგო გამყიდველმა.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა



TORMARK

„ტორმარკი“, პოლიტიკური სატირის ჟურნალი, თურ-
ქმენეთის სსრ, ქ. აშხაბადი.

ს. რაიზოვი

მ ი ნ ი ა ტ უ რ მ ბ ი

* * *

— რა დამიჯდება კბილის ამოღება? — ჰკითხა ავად-
მყოფმა ექიმს.

— თითო კბილი — ხუთი მანეთი!

— წუთიან საქმეში ასე ბევრს იღებთ? — გაიკვირვა
ავადმყოფმა.

— თუ გნებავთ, მთელ ღღეს მოვანდომებ ერთი კბი-
ლის ამოღებას! — მიუგო ექიმმა.

* * *

— მართალია, თუ მკვებე ყურძენს შეჭამ, კუჭი აგ-
ტკივდება? — ჰკითხა მეზღეს ძუნწმა.

— სრული სიმართლეა, — მიუგო მეზღემ.

— მაშინ, რატომ არ მტკივა კუჭი?


— შენ, ჩემო ძმაო, ალბათ, სხვის ბაღში მოკრეფილი
ყურძენი ჭამე. აბა, ერთი კუმბალი გასინჯე საკუთარ
ბაღიდან და მაშინ ნახე, რა მუცლის გვრება დაგემარ-
თება!

* * *


— მამი, მთვრალი ადამიანი რას გრძნობს?

— ხედავ, შვილო, იმ ორ ძროხას? როცა ადამიანი
მთვრალია, ორი ოთხად ეჩვენება.

— რას ამბობ, მამი, იქ ხომ ერთი ძროხაა?



— ეს რა მომივიდა? მეგონა, კურდღელს ვეს-
როლე და, თურმე, საკუთარი ვირისთვის მო-
მირტყამს!



— მამი, ჩავვარდი!

— კიდევ კარგი, შვილო, რომ არაფერი იტ-
კინე!

— არა, მამი, გამოცდაზე ჩავიჭერი!

სურათი-გაგონება



ვინ გაამოიცნობს
რომელი სოფლის
მდინარეზეა ეს ხიდი?

თუ ვინმეს ეს ხიდი სოფელ ანაკლიაში, ენგურის
ერთ-ერთ ტოტზე არსებული ხიდი ჰგონია, მართალი
ბრძანდება!

ახლა უკვე ვერსად ნახავთ
მალარიით სნეულს,
მაგრამ კბენა ისევ უყვარს
კოლოს — ამ მწერს წყვეულს.
პავლოვის ჩიხს, ნომერ პირველს,
ვინც ეწვევა ღამით,
კოლოს ველარ მოიშორებს
თუნდაც ერთი წამით.
შენობებში მთელი ღამე
ისმის ვაი-ვიში,
ფანჯრებსაც კი ველარ ვალებთ
კოლოების შიშით.
თუმც კედლები შეილება
ბაენე მწერთა სისხლით,
ვერ ვიშორებთ, კვლავ გვიტევენ
უდრო მეტი რისხვით.
ეპიდსადგურს შევევედრეთ
მუხლმოდრეკით ყველა:
„ოქვენს ხელთ არის ჩვენი ბედი,
ჩვენი გადარჩენა!“
შეგვიბრალეს და წამლებით
გამოცხადდნენ მყისვე,
კოლოები კი ვერ მოსპეს,
გვაწუხებენ ისევ.
აქვე, ახლოს, მყარალ აუზში,
ბინადრობენ ჯარად
და სისხლს გვწოვენ ღამ-ღამობით,
ღღისით ძინავთ წყნარად.

კიტა ჯავთარაძე

ვ ი ნ ი ა ტ უ რ მ ბ ი




მთავარი რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლჭახაძე, (პ/მ. მდინარე), ს. კლდიაშვილი, ნ. გალგონი (მხატვრული რედ.).
გ. ნიუნიაშვილი (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. © საბჭოთაო და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
© ტაქტიკური რედაქტორი მ. კუხიშვილი, გ. თბილისი, რუსთაველი პრესაში № 42, ტელ. რედაქტორი
99-76-69. გედ. მოადგილე 93-49-32 სამართ. განკ. 93-10-78. © საბჭოთაო ჟიგა, გამოცემულია, © გალგონი
ასაწყობად 11/VI-72 წ. ხელმოწერით დასაბამად 17/VI-72 წ. კალაღის ჟიგა 70X108/16. ფიზიკური ნაბაღი ფურცელი 3.
საღარიბო-საგამოცემო თბილისი 1,4 © საბჭოთაო ჟიგა, გამოცემულია, © გალგონი
© 80.83. 2437. © 01922. ბრეჟნე 130.000. © ტბილისი სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ. © ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ, ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14.

„ნატოს“ გენერალური მდივანი ი. ლუნსი ისევ მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკის პაქტის წევრებს, ახალი ასიგნებანი გაიღონ შეიარაღებისათვის.


გაზეთებიდან

72-300
7
1972
საგარეო ურთიერთობების მინისტრის კაბინეტი
76137



„ნატოს“ ატლანტიკის სახიფათო ზვირთი

— ხელები არ ჩამოუშვამთ, თორემ იფეთქებს!



ს. ჯ. ლომიძის